აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 36/ძ/ს
15/10/2018

36-ძ/ს-4-201810151757

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე–2 პუნქტის „თ" და „ს“ ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) შინაგანაწესი (დანართი N1);

ბ) დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში დასწრების ფორმა (დანართი N2);

გ) დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლების ფორმა (დანართი N3);

დ) სამივლინებო ფურცელი (დანართი N4);

ე) შემოვლის ფურცელი (დანართი N5);

ვ) დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა დაშვების საშვის ფორმა (საშვი) (დანართი N6) და საშვის გარეშე დასაშვებ პირთა სია (დანართი N7).

2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მიზნებისათვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველომ უზრუნველყოს:

ა) დეპარტამენტის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის სამსახურებრივი მიმოწერის დანერგვა;

ბ) ყოველი თვის 20 რიცხვამდე „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის დეპარტამენტის ბუღალტრისთვის წარდგენა;

გ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 1 მაისის N21/ძ/ს ბრძანება.

4. დეპარტამენტის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებამ (ს. ადეიშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, ა. კალანდაძის ქ., N7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 22 ოქტომბრიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ 2017 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N57/36.

იგორ კოპალიანი



დეპარტამენტის თავმჯდომარე